

ხშირად დასმული შეკითხვები

საკითხები: პროექტის ხელმძღვანელი
ახალგაზრდა მეცნიერი
დოქტორანტი
დამხმარე პერსონალი
უცხოელი კონსულტანტი
ორგანიზაცია
ბიუჯეტი
თანადაფინანსება
პროექტის მომზადება

პროექტის ხელმძღვანელი

1. უნდა იყოს თუ არა პროექტის ხელმძღვანელი პროექტში წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი?

პასუხი: დიახ.

2. შესაძლებელია თუ არა, პროექტის ანუ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი იყოს ახალგაზრდა მეცნიერი და ამავდროულად აიღოს ახალგაზრდა მეცნიერის სტიპენდია?

პასუხი: პირი, რომელიც აკმაყოფილებს ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსს (იხ. მინისტრის ბრძანება №58/ნ, მე-2 მუხლი, „ა“ პუნქტი) და ამავდროულად აიღოს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსს (იხ. იქვე „ჟ“ პუნქტი) შეიძლება იყოს სადოქტორო პროგრამის/პროექტის ხელმძღვანელი. თუ პროექტის ხელმძღვანელია ახალგაზრდა მეცნიერი, იგი ვერ დაიკავებს ამავდროულად პროექტში „ახალგაზრდა მეცნიერის“ პოზიციას და შესაბამისად, ვერ აიღებს ახალგაზრდა მეცნიერისთვის განკუთვნილ სტიპენდიას.

3. შეიძლება თუ არა, ასისტენტ-პროფესორი იყოს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი?

პასუხი: დიახ, თუ იგი აკმაყოფილებს კონკურსის მოთხოვნას (იხ. მინისტრის ბრძანება №58/ნ, მე-2 მუხლი, „ჟ“ პუნქტი; კონკურსის პირობები მე-2 მუხლი, მე-3 პუნქტი) და ამის უფლებას ანიჭებს წამყვანი ორგანიზაციის მარეგულირებელი დოკუმენტები.

4. აუცილებელია თუ არა, სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი (იგივე პროექტის ხელმძღვანელი) იყოს პროგრამაში ჩართული ყველა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი?

პასუხი: არ არის აუცილებელი, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იყოს პროექტში ჩართული ყველა დოქტორანტის ხელმძღვანელი.

5. შეიძლება თუ არა, უნივერსიტეტში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის, ან ცენტრის) თანამშრომელი - მეცნიერი იყოს სადოქტორო პროგრამის/პროექტის ხელმძღვანელი?

პასუხი: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი შეიძლება იყოს პროექტის ხელმძღვანელი, თუ ეს საკითხი დარეგულირებულია წამყვანი ორგანიზაციის შიდა დოკუმენტაციით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. შეიძლება თუ არა, პროექტის ხელმძღვანელი პარალელურად იყოს ფონდის რომელიმე სხვა საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი ან მონაწილე?

პასუხი: დიახ, პროექტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფონდის სხვა საგრანტო პროექტების ხელმძღვანელი ან მონაწილე.

7. შეიძლება თუ არა, პროექტის ანუ სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ორივე იყოს წამყვანი ორგანიზაციის წარმომადგენელი?

პასუხი: არა, თანახელმძღვანელი ვერ იქნება წამყვანი ორგანიზაციის წარმომადგენელი. საგრანტო კონკურსის ტერმინოლოგიით თანახელმძღვანელი ეწოდება პირს, რომელიც არის თანამონაწილე ორგანიზაციის სამეცნიერო ან აკადემიური პერსონალი (იხ. მინისტრის ბრძანება მუხლი 2, პუნქტი „რ“).

ახალგაზრდა მეცნიერი

8. რამდენი ახალგაზრდა მეცნიერი შეიძლება იყოს ჩართული პროექტში?

პასუხი: პროექტში არის ახალგაზრდა მეცნიერის ერთი პოზიცია, არაუმეტეს 1500 ლარი/თვეში სტიპენდიითა და კვირაში 40 სთ-იანი სამუშაო განაკვეთით. გამონაკლისის სახით, შესაძლებელია, პროექტში ჩართული იყოს ორი ახალგაზრდა მეცნიერი, რომელთაც უკავიათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციაში. ასეთ შემთხვევაში, ყოველთვიური სტიპენდია უნდა თანაბრად განაწილდეს მათზე (იხ. კონკურსის პირობები, მე-3 მუხლი, მე-5 პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი).

9. შეიძლება თუ არა, რომ ახალგაზრდა მეცნიერი დასახელდეს (პროექტში ჩაერთოს) გრანტის მოპოვების შემდეგ?

პასუხი: არსებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროექტში აუცილებელია ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ი დასახელებული იყვნენ საკონკურსოდ წარმოდგენილ პროექტში (იხ. კონკურსის პირობები, მე-2 მუხლი, მე-6 პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი). ხოლო ახალი სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის განვითარების პროექტში, შესაძლებელია, ახალგაზრდა მეცნიერი დასახელდეს საგრანტო დაფინანსების მოპოვების შემდეგ 12 თვის განმავლობაში (იხ. იქვე „ბ“ ქვეპუნქტი).

10. შეიძლება თუ არა, რომ ახალგაზრდა მეცნიერი იყოს სხვა უცხოური ან ადგილობრივი ინსტიტუტიდან?

პასუხი: შეიძლება, თუ კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, ახალგაზრდა მეცნიერი პროექტში ჩართული იქნება 40 სთ.-იანი სამუშაო განაკვეთით წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციის მხრიდან. კონკურსზე პროექტის დარეგისტრირების მომენტში, თუ ახალგაზრდა მეცნიერის პოზიციაზე დასახელება ორი პირი, ორივე უნდა იყოს წამყვან ან თანამონაწილე ორგანიზაციაში აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი. (იხ. კონკურსის პირობები, მე-3 მუხლი, მე-5 პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი).

11. შეიძლება თუ არა, რომ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაობდეს უსდ-ში ლაბორანტის პოზიციაზე?

პასუხი: კი, თუ მხოლოდ ეს ერთი პირი იქნება დასახელებული პროექტში ახალგაზრდა მეცნიერის პოზიციაზე. შეზრუდება, რომ ახალგაზრდა მეცნიერი აუცილებლად უნდა იყოს წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციაში აკადემიურ/სამეცნიერო თანამდებობის მქონე პირი, აქტუალური ხდება იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდა მეცნიერის პოზიცია უნდა გაიყოს ორ პიროვნებაზე.

12. შეიძლება თუ არა, რომ ახალგაზრდა მეცნიერი იყოს მომიჯნავე სამეცნიერო მიმართულებიდან?

პასუხი: კი, სადოქტორო პროგრამის ან პროექტისათვის გათვალისწინებული კვლევის მიზნების შესაბამისად.

დოქტორანტი

13. როგორ და როდის ხდება დოქტორანტების ჩართვა პროექტში?

პასუხი: არსებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროექტში დოქტორანტის ვინაობა შესაძლებელია განსაზღვრული იყოს კონკურსზე წარმოდგენილ პროექტში ან დოქტორანტი უნდა შეირჩეს და წარედგინოს ფონდს პროექტის დაფინანსების შემდეგ 12 თვის განმავლობაში (იხ. კონკურსის პირობები მე-2 მუხლი, მე-6 პუნქტი, „ა“). ხოლო ახალი სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის განვითარების პროექტში დოქტორანტები უნდა შეირჩეს და წარედგინოს ფონდს სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის მიღების შემდეგ 6 თვის განმავლობაში (იხ. იქვე „ბ“ ქვეპუნქტი).

14. სავალდებულოა თუ არა, პროექტში ჩართულ დოქტორანტს ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი?

პასუხი: პროექტის კონკურსზე დარეგისტრირების ეტაპზე პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია დაასახელოს დოქტორანტი, რომელსაც არ აქვს აქტიური სტატუსი. დოქტორანტი გახდება გრანტის მიმღები (მიიღებს სტიპენდიას, კვლევისთვის საჭირო ფინანსებს და ა.შ.) მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას ექნება აქტიური სტუდენტის სტატუსი და ფონდში წარმოადგენს შესაბამის ცნობას.

15. შეიძლება თუ არა, პროექტში ჩართული დოქტორანტი იყოს სხვა უნივერსიტეტის დოქტორანტი და არა წამყვანი ორგანიზაციის?

პასუხი: არა, პროექტში ჩართული დოქტორანტი უნდა იყოს ამ პროექტით გათვალისწინებულ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული ან მობილობით გადასული პირი.

16. იზღუდება თუ არა, დოქტორანტმა მიიღოს სტიპენდია და პარალელურად იმუშაოს სხვა ანაზღაურებად სამსახურშიც?

პასუხი: კონკურსის პირობები არ უკრძალავს დოქტორანტს პროექტის პარალელურად დაკავდეს სხვა სამსახურში და მიიღოს შრომის ანაზღაურება, თუ ეს ხელს არ შეუშლის საგრანტო ვალდებულებების შესრულებას, კერძოდ, სადოქტორო კვლევის განხორციელებასა და დისერტაციის დაცვას.

17. შესაძლებელია თუ არა, რომ დისერტაციის დაცვის შემდეგ დოქტორანტი პროექტში დარჩეს ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსით?

პასუხი: შესაძლებელი იქნება, თუ იგი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ ჩაანაცვლებს პროექტში მანამდე დასაქმებულ ახალგაზრდა მეცნიერს, პროექტის ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე.

დამხმარე პერსონალი

18. ვინ შეიძლება იყოს დამხმარე პერსონალი (დოქტორი, კანდიდატი, სპეციალისტი, ტექნიკური პერსონალი)?

პასუხი: დამხმარე პერსონალი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც დაეხმარება დოქტორანტებსა და ახალგაზრდა მეცნიერს კვლევასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხების მოგვარებაში (იხ. მინისტრის ბრძანება №58/ნ, მე-2 მუხლი, მე-7 პუნქტი).

19. შეიძლება თუ არა, დამხმარე პერსონალის სტატუსით პროექტში მონაწილეობდეს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი?

პასუხი: არ შეიძლება, რომ ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი პროექტში ჩართული იყოს დამხმარე პერსონალის სტატუსით.

უცხოელი კონსულტანტი

20. შეიძლება თუ არა, რომ პროექტის სამეცნიერო კონსულტანტი იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც უცხოეთში მოღვაწეობს?

პასუხი: კონსულტანტის სტატუსით პროექტში შეიძლება ჩართული იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე (იხ. კონკურსის პირობები, მე-2 მუხლი, მე-8 პუნქტი).

21. ითვალისწინებს თუ არა, საგრანტო დაფინანსება უცხოელი კონსულტანტის ჰონორარს?

პასუხი: დიახ, ეს შეიძლება გათვალისწინებული იყოს „კვლევის ხარჯების“ კატეგორიაში (იხ. კონკურსის პირობები, მე-3 მუხლი, მე-5 პუნქტი, „გ“ ქვეპუნქტი).

22. შეიძლება თუ არა, უცხოელი დოქტორანტის ან ახალგაზრდა მეცნიერის პროექტში ჩართვა?

პასუხი: არა, უცხო ქვეყნის მოქალაქეები ვერ ჩართებიან პროექტში დოქტორანტის ან ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსით, ვინაიდან ამ სტატუსის მქონე პირები ხდებიან გრანტის მიმღებები. გრანტის

მიმღები შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე (იხ. მინისტრის ბრძანება №58/ნ, მე-2 მუხლი, „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტები).

ორგანიზაცია

23. შეიძლება თუ არა, უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი კვლევითი ინსტიტუტი იყოს პროექტის წამყვანი ორგანიზაცია?

პასუხი: წამყვანი ორგანიზაცია უნდა იყოს უნივერსიტეტი (იხ. კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი).

24. შეიძლება თუ არა, პროექტში ჩართული იყოს რამდენიმე თანამონაწილე ორგანიზაცია?

პასუხი: პროექტს შეიძლება ჰყავდეს ერთზე მეტი თანამონაწილე ორგანიზაცია.

ბიუჯეტი

25. შეუძლია თუ არა, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ჩართული იყოს პროექტში და აიღოს ჰონორარი?

პასუხი: დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროექტში შეიძლება ჩართული იყოს ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსით და მიიღოს სტიპენდია. საგრანტო დაფინანსება არ ითვალისწინებს ჰონორარს ან შრომის ანაზღაურებას დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობაში (იხ. კონკურსის პირობები, მე-3 მუხლი, მე-5 პუნქტი).

26. შეიძლება თუ არა, სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ერთ-ერთი კურსის/სემინარის ლექტორმა მიიღოს ანაზღაურება საგრანტო დაფინანსებიდან?

პასუხი: არა, საგრანტო ბიუჯეტი არ ითვალისწინებს ლექციების წაკითხვისათვის ან საგნის სწავლებისათვის შრომის ანაზღაურებას (იხ. კონკურსის პირობები, მე-3 მუხლი, მე-5 პუნქტი). თუმცა სილაბუსის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს ბიუჯეტის „კვლევის ხარჯების“ კატეგორიაში პროექტის პირველ წელს.

27. დაიბეგრება თუ არა, ახალგაზრდა მეცნიერის და დოქტორანტის სტიპენდია?

პასუხი: არა, ახალგაზრდა მეცნიერის და დოქტორანტის სტიპენდია არ იბეგრება.

28. დაიბეგრება თუ არა, კვლევაში ჩართულ პირთა შრომის ანაზღაურება?

პასუხი: დიახ, კვლევაში ჩართულ პირთა შრომის ანაზღაურება, მათ შორის უცხოელი კონსულტანტის ჰონორარი გადის, როგორც მომსახურება და უნდა დაიბეგროს კანონის შესაბამისად.

29. ვინ შეიძლება ისარგებლოს მივლინებით?

პასუხი: პროექტის ფარგლებში განხორციელებული მივლინებით (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ვიზიტებით) შეიძლება ისარგებლოს პროექტის ხელმძღვანელმა, თანახელმძღვანელმა, ასევე ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)მა და დოქტორანტებმა. (იხ. კონკურსის პირობები მე-3 მუხლი, მე-5 პუნქტი, „დ“ ქვეპუნქტი.)

30. უცხოელ კონსულტანტთან დაკავშირებით რა ხარჯებს ითვალისწინებს გრანტი და როგორ უნდა აისახოს ბიუჯეტში?

პასუხი: გრანტის ფარგლებში ანაზღაურდება უცხოელი კონსულტანტის ავიაბილეთის და სასტუმროს ხარჯები, რომელიც უნდა აისახოს უცხოელი „კონსულტანტის საქართველოში ვიზიტის ხარჯების“ კატეგორიაში, ასევე ანაზღაურდება ჰონორარი, რომელიც უნდა აისახოს „კვლევის ხარჯების“ კატეგორიაში.

31. რომელ ხარჯვით კატეგორიაში უნდა აისახოს ინგლისურენოვან საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება?

პასუხი: პუბლიკაციის გამოქვეყნება უნდა აისახოს კვლევის ხარჯების კატეგორიაში.

თანადაფინანსება

32. ვინ შეიძლება იყოს თანადაფინანსებელი?

პასუხი: თანადაფინანსებელი შეიძლება იყოს საჯარო სამართლის (სსიპ) და კერძო სამართლის (ააიპ, შპს) იურიდიული პირები, ასევე ფიზიკური პირები (მინისტრის ბრძანება №58/ნ, მე-2 მუხლი, „თ“ პუნქტი).

33. ჩაითვლება თუ არა, თვითდაფინანსება თანადაფინანსებად?

პასუხი: პროექტის თანადაფინანსებად ჩაითვლება წამყვანი ან თანამონაწილე ორგანიზაციის მიერ პროექტისათვის გამოყოფილი ფინანსური სახსრები. თანადაფინანსებად არ ჩაითვლება ფონდის მიერ გაცემული გრანტი (კონკურსის პირობები, მე-3 მუხლი, მე-13 პუნქტი).

34. თანადაფინანსების რამდენი პროცენტია დასაშვები?

პასუხი: ამ საკითხზე შეზღუდვა არ დევს კონკურსის პირობებში.

35. თანადაფინანსების ფარგლებში პროექტის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის შრომის ანაზღაურება რამდენი შეიძლება იყოს?

პასუხი: ამ საკითხზე შეზღუდვა არ დევს კონკურსის პირობებში.

36. შეიძლება, რომ თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, პროექტის ხელმძღვანელის ან თანახელმძღვანელის შრომის ანაზღაურება პირდაპირ ჩაირიცხოს მის პირად ანგარიშზე?

პასუხი: არა, თანადაფინანსების თანხა უნდა ჩაირიცხოს პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე.

37. რა ოდენობის თანხა შეიძლება გაიცეს დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე?

პასუხი: ამ საკითხზე შეზღუდვა არ დევს კონკურსის პირობებში.

პროექტის მომზადება

38. თუ სადოქტორო პროგრამა ინტერდისციპლინარულია, რომელი მიმართულება იქნება ძირითადი?

პასუხი: ძირითადი ქვემიმართულება უნდა იყოს ის, რომელიც ყველაზე უკეთესად შეესაბამება მისანიჭებელ აკადემიური ხარისხს ან კვალიფიკაციას.

39. პროექტი ორ ენაზე უნდა მომზადდეს (ქართული და ინგლისური ფორმები)?

პასუხი: პროექტის შინაარსობრივი ნაწილი უნდა მომზადდეს ინგლისურ ენაზე, ესენია დანართი 2, 3, 4, 5, 6, და 7. ქართულად უნდა მომზადდეს თავფურცელი (დანართი 2) და პროექტის აბსტრაქტი, რომლებიც ივსება ინტერნეტში (ონ-ლაინ). ქართულ ენაზე უნდა იყოს კანცელარიაში წარმოსადგენი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 10)“, რომელსაც ავტომატურად დააგენერირებს საგრანტო პროექტების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა. კონკურსზე გამარჯვების შემთხვევაში პროექტის შინაარსობრივი ნაწილის დოკუმენტები უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზეც. ზოგადად, ყველა დოკუმენტი მომზადებული უნდა იყოს კონკურსის პირობების მუხლი 4-ის შესაბამისად.

40. წამოვადგინოთ თუ არა პროექტს თანდართული დოკუმენტები ორივე ენაზე?

პასუხი: თადართული დოკუმენტი, რომლის ორიგინალი გაცემულია ქართულ ენაზე, წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ქართულად. დოკუმენტები, რომლის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალისა და თარჯიმნის მიერ დამოწმებული ქართული თარგმანის სახით.